SMS კოდით ავთენტიფიკაცია

სარჩევი

ზოგადი აღწერა 2

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსში ნებისმიერი ჩანაწერის შექმნისას ან ოპერაციის განხორციელებისას შესაძლებელია დაემატოს SMS ავთენტიფიკაცია.

SMS ავთენტიფიკაციის დროს პროგრამა შემთხვევითობის პრინციპით აგენერირებს კოდს და SMS-ით აგზავნის შესაბამის ადრესატთან. ადრესატი შესაძლებელია იყოს ბაზაში დამატებული ნებისმიერი მყიდველი, მომწოდებელი ან თანამშრომელი.



ნებიესმიერ ოპერაციაზე რაზეც ჩაირთვება SMS ავთენტიფიკაცია პროგრამა გამოიტანს კოდის შესაყვან ფანჯარას.

იუზერმა კოდი უნდა შეიყვანოს შესაბამის ველში და OK ღილაკით დააფიქსიროს. იმ შემთხვევაში, თუ გაგზავნილი ავთენთიფიკაციის კოდი და მითითებული კოდი არ დაემთხვევა ერთმანეთს, ბალანსი არ დაასრულებს აღნიშნულ ოპერაციას და ინფორმაციისთვის დააგენერირებს შესაბამის შეტყობინებას.

თუ ადრესატზე (მაგ მყიდველი) არ არის მითითებული ტელეფონის ნომერი, პროგრამა ვერ გააგზავნის SMS კოდს და დააგენერირებს შეტყობინებას:



ადრესატებს (მყიდველი, მომწოდებელი, თანამშრომელი) ტელეფონის ნომერი ეთითება საცნობარო ბარათზე „მისამართები, ტელეფონები“ ჩანართზე ფორმატით : +9955xxxxxxxx